



25.03.2014

## “მწვანე ალტერნატივას” სარჩელზე სასამართლო გადაწყვეტილებას 11 აპრილს გამოიტანს

შეუერთდი განხილვას

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ენერგეტიკის მინისტრსა და მის მოადგილეს ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის სასამართლოში უჩივის. ორგანიზაცია მოითხოვს, რომ კახა კალაძემ და ილია ელოშვილმა თავიანთი განცხადებები საჯაროდ უარყონ და მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად თითოეულმა 1 აშშ დოლარი გადაიხადოს. საქმე მთ მიერ გაკეთებულ განცხადებებს ეხება.

### ამავე თემაზე

"24

ენერგეტიკის მინისტრსა და მის მოადგილეს საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის უჩივიან „მწვანე ალტერნატივასა“ და ენერგეტიკის მინისტრს შორის მორიგება არ შედგა  
ხუდონჰესი - 35-წლიანი დილემა  
ჰესები ყაზბეგში, შპს "ფერი" და ელიტური კორუფცია ენერგო-სექტორში  
ბრძოლა თერგისთვის - დარიალჰესის საქმე  
ზურაბ ნიჟარაძე: "15 მარტამდე ველოდებით პრემიერს სვანეთში"  
არასამთავრობოები "ხუდონჰესის" აშენებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ

საათის" 2013 წლის 12 ნოემბერის გამოცემაში გამოქვეყნებულ [ინტერვიუში](#) ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განაცხადა: “მწვანე ალტერნატივა“ რადიკალური ჯგუფია, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ისინი ფულს იღებენ იმაში, რომ ქვეყანაში არაფერი გაკეთდეს. დასკვნები თქვენ გამოიტანეთ, რას

წარმოადგენენ”.

მინისტრის მოადგილეს კი ორგანიზაცია 19 სექტემბერს რადიო "კომერსანტის" ეთერში გაკეთებული მსგავსი **განცხადების** გამო („მწვანე ალტერნატივა“ არასამთავრობოების რადიკალურ ფრთას განეკუთნება. ყოველთვის უპირისპირდება ყველა იმ წამოწყებას, რაც ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“) უჩივის.

სასამართლოს მოსამზადებელ პერიოდში მხარეებს შორის **მორიგება არ შედგა**.

სასამართლოს კითხვა-პასუხის ეტაპი კი 11 მარტს დაიწყო და დღეს გაგრძელდა.

დღევანდელ სხდომაზე „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლებმა მოპასუხე მხარის იურისტს ჰკითხეს, ცნობილი იყო თუ არა მინისტრისა და მისი მოდგილისთვის ამ განცხადებების გაკეთებისას და ახლაც უშუალოდ ორგანიზაციის მისია და ფუნქციები.

ირაკლი თავართქილაძის განცხადებით, მოპასუხეებისთვის „მწვანე ალტერნატივას“ პოზიცია მათ მიერ გამართული აქციებისა და განცხადებების მიხედვით ცნობილია და იციან, რომ ორგანიზაცია საქართველოში ენერგოპროექტების განხორციელებას ეწინააღმდეგება.

ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე იმითიც დაინტერესდა, რა იყო იმის საფუძველი, რომ მათ „ქვეყნის განვითარების მოწინააღმდეგეებად“ მიიჩნევდნენ, იყო თუ არა ეს მხოლოდ ხუდონისა და დიდი ჰიდროელექტროსადგურების კრიტიკა.

**„არამართო დიდი ჰესების, სხვა ენერგოპროექტებსაც, ეს ორგანიზაცია უპირისპირდება ყველა იმ პროექტს, რომლებიც ენერგოგანვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად აჭარისწყალის კასკადი, ჭოროხი კასკადი, დარიალიჰესი, ყაზბეგიჰესი, ფარავანჰესი. ენერგოგანვითარება კი აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს ქვეყნის განვითარებას“, - განაცხადა ენერგეტიკის მინისტრისა და მისი მოდგილის ადვოკატმა.**

„გაკეთებული განცხადებები არის ადეკვატური პასუხი ორგანიზაციის ქმედებებზე“, - უპასუხა თავართქილაძემ მოსარჩელების შეკითხვას იმის თაობაზე, თუ როგორ დამოკიდებულებას აჩენს ეს ფრაზები საზოგადოებაში ასოციაციის მიმართ - დადებითს თუ უარყოფითს.

ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის ბოლო შეკითხვა ხუდონჰესის მშენებელ კომპანიასთან, „ტრანსელექტრიკასთან“ სახელმწიფოს მიერ დადებული მემორანდუმის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფს ეხებოდა. „მაინტერესებს, როდესაც ხელშეკრულების

განმხილველ ჯგუფში მონაწილეობის მისაღებად მიგვიწვიეს, მაშინაც ქვეყნის განვითარების მოწინააღმდეგეებად მიგვიჩნევდით თუ არა?”

თუმცა ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, მაშინ უშუალოდ მემორანდუმის პირობები განიხილებოდა და არა პროექტის განხორციელება-არგანხორციელების საკითხი, ამიტომ ამ დამოკიდებულებას მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია.

ენერგეტიკის მინისტრისა და მისი მოადგილის წარმომადგენელმა მოსარჩელებს მხოლოდ ორი კითხვა დაუსვა: რა უშუალო ზიანი მიადგათ ამ განცხადებებით და რითი ასაბუთებენ, რომ განცხადებები მცდარ ფაქტებს შეიცავს.

ნინო გუჯარაიძე ამბობს, რომ კალაძე და ელოშვილი საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები არიან და მათი განცხადებები გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, საერთაშორისო ინსტიტუტებსა და დონორ ორგანიზაციებზე, მათზეც, რომლებიც უშუალოდ „მწვანე ალტერნატივას“ დამფინანსებლები არიან.

**„ამ სიტუციის გამო ჩვენი დონორები ძალიან წუხან. გარდა ამისა, ასეთი მიდგომა სამაგალითო აღმოჩნდა სხვა საჯარო მოხელეებისთვისაც და ეს აშკარად იგრძნობა მათ დამოკიდებულებებში, შეიმჩნევა ანტაგონიზმი ჩვენ მიერ წარდგენილი შენიშვნებისა და მითითებების მიმართ. შედეგად მივიღეთ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში ხელშეშლა, გვჭირდება ნდობის თავიდან მოპოვება და ჩვენ მიმართ ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლა“, - ამბობს გუჯარაიძე.**

რაც შეეხება იმას, რმდენად ცილისმწამებლურია განცხადებაში ხაზგასმული ფაქტები, ასოციაციის დირექტორს მაგალითად ორგანიზაციის 14-წლიანი მუშაობის პერიოდი მოჰყავს და ამბობს, რომ წლების განმავლობაში მათ ბევრ პროექტში შეიტანეს სასიკეთო ცვლილებები.

„ამასთან, ერთ-ერთი რაზეც ხუდონჰესთან დაკავშირებით მივუთითებდით, იყო ის, რომ მემორანდუმის ხელმიწერის შემდეგაც სამინისტროს მონაწილეობა ამ პროცესში საზოგადოებაზე ზეწოლა იყო და პროექტის ასეთი სახით განხორციელება არ შეიძლებოდა. კომპანიამ დადგენილ ვადამდე, 2014 წლის 1 მარტამდე ვერ მიიღო გარემოზე ზემოქმედებისა და მშენებლობის ნებართვები, რაც ადასტურებს იმას, რომ ჩვენი მტკიცება სწორი იყო“, - აცხადებს გუჯარაიძე.

მოსამართლის კითხვაზე, მიიჩნევს თუ არა ასოციაცია თავს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონით განსაზღვრულ საჯარო პირად, ორგანიზაციის

წარმომადგენლებმა დადებითად უპასუხეს. თუმცა ადვოკატი ირმა მახათაძე მიიჩნევს, რომ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციას თმენის ვალდებულება აქვს, როდესაც მათ მიმართ შეურაცხმყოფელი განცხადებები კეთდება.

ირაკლი თავართქილაძე მიიჩნევს, რომ მიუხედავად ორგანიზაციის დეკლარირებული მიზნებისა და მისიისა, მოპასუხეებს მათივე ქმედებიდან გამომდინარე ჩამოუყლიბდთ ის დამოკიდებულებები, რომლებიც მთ განცხადებებშია ასახული.

„სამწუხაროა, რომ ჩვენ და კახა კალაძე, რომელიც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პირველი წარმომდგენელი იყო და დიდ ჰესებთან დაკავშირებით პარტიასთან ერთად ჩვენს პოზიციას იზიარებდა, ახლა ჩვენ ქვეყნის განვითარების მტრებად მოგვიხსენიებს, თავად კი აზრი შეიცვალა. გვინდა კალაძესაც და ელოშვილსაც ესმოდეთ, რომ ჩვენი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის, ფუნქცია საჯარო უწყებების კრიტიკაა და ეს არ ნიშნავს წინააღმდეგობას. მოეკიდონ არასამთავრობოებთან ურთიერთობას ისე, როგორც ამას დაწერილი თუ დაუწერიელი წესები მოითხოვს“, - ამბობს გუჯარაიძე.

გადაწყვეტილებას მოსამართლე ასმათ კოხრეიძე 11 აპრილს, 12 :00 საათზე გამოაცხადებს.



Add a comment...

Also post on Facebook

Posting as Natalia Ksovreli  
(Change)

Comment

Facebook social plugin

